ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №88

ქ. თბილისი 29 ივლისი 2020 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" - (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.3. ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.
1.4. ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.5. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1. ერთის მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დავით ესათიას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ადა" (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), წარმოდგენილი მისი ხელმძღვანლის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტი) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები (CPV კოდი: 30200000) (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად:

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2680 (ორი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
4.2. ერთი ცალი პორტაბელური კომპიუტერის (ლეტპოპი) (ნოუთბუქი Thinkpad Thinbook 13.3 FHD i5 8265U, 8GB, 128GB SSD, INTEGRATED GRAPHICS W10) (CPV კოდი: 30213100) ღირებულება შეადგენს 2680 (ორი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარს, ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 1 (ერთი) ცალს;

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
5.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი ხელმომწერი პირი.
6.2. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, მიცკევიჩის №4;
7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 7.2 პუნქტში.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი. მიმწოდებელი ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისას ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს.
9.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკულების პირობების შესრულების კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. კონტროლს განახორციელებს უფლებამოსილი პირი/პირები.
9.3. შემსყიფდველის შესაბამისი წარმომადგენლი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, ნაკლი/ხარვეზი მიმწოდებელი ვალდებულია დაუყობნებლივ გამოასწოროს აღნიშნული.

10. ხარისხი

10.1. შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.
10.2. ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტზე (პორტაბელური კომპიუტერი (ლეტპოპი) გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.
10.3 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ნაკლის აღმოფხვრა ან ნაკლიანი ნივთის შეცვლა ხორციელდება ნივთებზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად.

11. პირგასამტეხლო ხელსეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
11.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
12.4. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
12.5. მხარე ვალდებულია 12.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ართულ ენაზე. ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზეპლარი გადაეცემა ,,მიმწოდებელს'', ხოლო მეორე ,,შემსყიდველს''.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო

მის: ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. №15ა

ს/კ: 205308521 ტელ.: 599855020
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
TRESGE22

____

საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი დავით ესათია

Ministry of Finance and Sector Economy of the Autonomous Republic of Abkhazia
Digitally signed by Ministry of Finance and Sector Economy of the Autonomous Republic of Abkhazia
Date: 2020.07.29 14:04:10 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს ,,ადა"
მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის №4

ს/კ 405027830

სს ,,საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
აGE82BG0000000626529900

ხელმძღვანელი
გიორგი ღ[illegible]უნიშვილი

ADA LLC
Digitally signed by ADA LLC
Date: 2020.07.29 14:12:38 +04'00'